ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 292501513**
თარიღი:**15/01/2025**

უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის, მე-4 ნაწილის, მე-19 მუხლის ,,ბ,, ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მეორე ნაწილის და ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 დეკემბრის N18 დადგენილების შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1. დამტკიცდეს ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამა'' დანართის მიხედვით.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება ჩაბარდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 5 . განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM

უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი: 72 000 (სამოცდათორმეტი ათასი) ლარი.**

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში – არაუმეტეს 300 (სამასი) ლარი სოფელში და არაუმეტეს 400(ოთხასი) ლარი ქალაქში.

6. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსახლკარო მოქალაქეების ბინის ქირით უზრუნველყოფა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

ა)თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ამავე დროს, მცხოვრები უსახლკარო ოჯახები, რომლებსაც არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი ფართი და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000 -ს.

ბ) ძალადობის მსხვერპლი პირები, რომლებმაც ისარგებლეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლით (თავშესაფრით) და თავშესაფარში მოთავსების ვადის ამოწურვის შემდეგ იმყოფება საცხოვრებლის გარეშე.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინონ:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) საცხოვრებელი ფართის არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი- ცნობა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, საჯარო რეესტრიდან ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის.

დ) შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის;
წერილობითი რეკომენდაცია განმცხადებლის საცხოვრებელი ფართის არქონის შესახებ; ე) ქირავნობის ხელშეკრულება 1 წლის ვადით;

ვ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში, გამქირავებლის პირადობის მოწმობის ასლი და თერჯოლის მუნიციტალიტეტის ტრიტორიაზე არსებული გასაქირავებელი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი(ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.);

ზ) შემაკავებელი ან დამცავი ორდერი ან/და მომხდარი ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, სადაც მითითებულია მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსება;

თ) ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსების შემთხვევაში თავშესაფრით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ი) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. (მე-3 მუხლის „ა" პუნქტით სარგებლობის შემთხვევაში)

მუხლი 5. დახმარების გაცემის წესი

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას რეკომენდაციის მომზადების მიზნით, განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

2. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ, თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი